

## „დევნილთა პროფესიული განათლების მხარდაჭერის პროგრამა“

პროგრამის ფარგლებში, საჭიროების მქონე ყველა დევნილს, რომელიც 2016-2017 წლებში ჩაირიცხა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, აუნაზღაურდება საცხოვრებლიდან სასწავლებლამდე და სასწავლებლიდან საცხოვრებლამდე გადაადგილების ხარჯი.

განაცხადები მიიღება ქ. თბილისში, თამარაშვილის ქ. N15ა, სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოში ან ელექტრონულ ფოსტაზე: [info@livelihood.gov.ge](mailto:info@livelihood.gov.ge)

პროგრამის შესახებ დეტალური ინფორმაციის მისაღებად ეწვიეთ სააგენტოს ვებ-გვერდს [www.livelihood.gov.ge](http://www.livelihood.gov.ge) ან დარეკეთ 2 14 02 43/42/41

პროგრამას ახორციელებს სსიპ დევნილთა საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო. პროგრამა დაფინანსებულია სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

### განაცხადთან ერთად წარსადგენი დოკუმენტაცია:

1. განმცხადებლის პირადობის მოწმობის ასლი;
2. დევნილის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ცნობა სასწავლებლიდან **ჩარიცხვის წლის მითითებით;**
4. **განმცხადებლის სახელზე** გახსნილი საბანკო ანგარიშის რეკვიზიტები;
5. განაცხადის მიღების თვეში აღებული ამონაწერი სოციალურად დაუცველ ოჯახთა მონაცემთა ბაზიდან (**იმ შემთხვევაში, თუ განმცხადებელი სოციალურად დაუცველია**).

**კერძო ტრანსპორტის მოთხოვნის შემთხვევაში, განაცხადს თან დაურთეთ საჭიროების დამადასტურებელი დოკუმენტი (მაგ: შეზღუდვის დამადასტურებელი ცნობა და ა.შ.)**

### როგორ მოხდება ანაზღაურება?

სააგენტო ყოველი თვის ბოლოს გამოითხოვს სასწავლებლიდან პროგრამის ბენეფიციარის დასწრების შესახებ ინფორმაციას და აუნაზღაურებს დევნილს იმ თვეში გახარჯულ თანხას.

სოციალურად დაუცველ დევნილებს აუნაზღაურდებათ მაქსიმუმ 150 ლარი ერთი თვის განმავლობაში. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის N2255 ბრძანების თანახმად, სოციალურად დაუცველ პირს არ უწყდება ან უჩერდება შემწეობის მიღება თუ მისი ყოველთვიური შემოსავალი არ აღემატება 150 ლარს.

**იმ დევნილებს, რომლებიც არ არიან რეგისტრირებულნი სოციალურად დაუცველთა ბაზაში, აუნაზღაურდება რეალურად გაწეული ხარჯი.**

რა ეტაპები უნდა გავიაროთ ხელშეკრულების გაფორმებამდე?

1. განაცხადების მიღება
2. განაცხადების დამუშავება და კომისიური წესით განხილვა
3. ხელშეკრულების გაფორმება

განმცხადებლის სახელი, გვარი			
პირადი ნომერი			
ფაქტობრივი საცხოვრებელი მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი, ქუჩა)			
ტელეფონი			
ხართ თუ არა დევნილი		<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	
ხართ თუ არა სოციალურად დაუცველი		<input type="checkbox"/> დიახ	<i>მიუთითეთ თქვენი ქულა</i> <input type="checkbox"/> არა
თუ თქვენ ხართ სოციალურად დაუცველი მონიშნეთ ერთ-ერთი		<input type="checkbox"/> თანახმა ვარ ამინაზღაურდეს მაქსიმუმ 150 ლარი	<input type="checkbox"/> უარს ვაცხადებ დაწესებული მაქსიმუმის, 150 ლარის ანაზღაურებაზე და მსურს ამინაზღაურდეს რეალური ხარჯი
მონიშნეთ ჩარიცხვის წელი		<input type="checkbox"/> 2016 <input type="checkbox"/> 2017	
მიუთითეთ სასწავლებელი			
მიუთითეთ სასწავლებლის მისამართი (მუნიციპალიტეტი, ქალაქი, ქუჩა)			
რა მანძილია თქვენი საცხოვრებლიდან სასწავლებლამდე	კმ.	<b>მიუთითეთ საცხოვრებლიდან სასწავლებლამდე მგზავრობის ღირებულება (ერთი გზა)</b>	
შემოხაზეთ რომელ სატრანსპორტო საშუალებას იყენებთ გადასაადგილებლად და მის გასწვრივ მიუთითეთ ზუსტი მარშრუტი (საწყისი და საბოლოო გაჩერებები)		<input type="checkbox"/> მეტრო	მიუთითეთ მარშრუტი
		<input type="checkbox"/> მიკროავტობუსი N	მიუთითეთ მარშრუტი
		<input type="checkbox"/> ავტობუსი N	მიუთითეთ მარშრუტი
		<input type="checkbox"/> საქალაქთაშორისო ტრანსპორტი	მიუთითეთ მარშრუტი
		<input type="checkbox"/> სხვა	<i>მიუთითეთ ტრანსპორტის სახე და მარშრუტი</i>
		<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	
ხართ თუ არა სპეციალური საჭიროების მქონე (შშმ პირი, ჯანმრთელობის მძიმე მდგომარეობა და ა.შ.)		<input type="checkbox"/> დიახ <input type="checkbox"/> არა	
ვადასტურებ, ჩემს მიერ მითითებული ინფორმაცია ზუსტია და შეესაბამება სიმართლეს. ამასთანავე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, რომ არ ვსარგებლობ უფასო მგზავრობის რომელიმე პროგრამით.			
ხელმოწერა			
თარიღი			